15/04/2025

MES 9 25 0000415025

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 07.04.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
დასრულების დრო: 13:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 07 აპრილს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;

6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნათია ზედგინიძე** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ემილ ავდალიანი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
14. **რიმა ბერიაშვილი** - თსსუ-ს ვიცე-რექტორი, პროფესორი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ეკა ეკალაძე - რექტორი;
- არჩილ უნდილაშვილი - კონსულტანტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- ერეკლე კალატოზიშვილი - კანცლერი;
- ნინო შიუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო თევზაძე - მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- დავით მახვილაძე (თავმჯდომარე);
- შოთა ფოთოლაშვილი;
- ხათუნა საგანელიძე;
- თამარ გოდერიძე;
- შოთა სილაგაძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო **12:00 საათზე**. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, **თამარ იოსელიანმა.** საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა (სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

1. შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არჰქონდათ საბჭოს წე ვრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს ზურაბ ორჯონიკიძემ და რიმა ბერიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტი გასული წლის 27 - 28 დეკემბერს გაიმართა, რომელიც იყო საკმაოდ კოლეგიალური და საქმიანი. დაწესებულებამ დიდი შრომა გასწია ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მათ შექმნეს სრულიად ახალი კორპუსი, რომელიც აღჭურვილი და მორგებულია პროფილურ სწავლებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტთა მხრიდან არანაირი რეკომენდაცია და რჩევა არ გაცემულა. მისი თქმით, დაწესებულების მხრიდან სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა იყო 2 300, რაც მკვეთრად აღემატებოდა პირველი ავტორიზაციის დროს განსაზღვრულ რაოდენობას. პირველი სტანდარტის შეფასების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად რეკომენდაციის გაცემა. მეორე სტანდარტის ფარგლებში დასკვნის პროექტის წარდგენისას ექსპერტებს ჰქონდათ 2 რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა ნაწილობრივ გაითვალისწინეს დაწესებულების მოსაზრება და ერთი რეკომენდაცია რჩევაში გადაიტანეს. ასევე მეორე სტანდარტში დარჩა თანაფარდობებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია, რადგან ექსპერტებმა დოკუმენტში გაწერილი თანაფარდობები მიიჩნიეს შეუსაბამოდ, მიუხედავად იმისა, რომ არსებული მდგომარეობით დაწესებულებას თანაფარდობასთან მიმართებით არ ექნებოდა ცუდი მაჩვენებელი. დავით მახვილაძსი თქმით, რეგულირების ნაწილში შესამჩნევია, რომ ეს საკითხი გასწორებულია. მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტების ფარგლებში არ იყო შემუშავებული რეკომენდაციები. მე-6 სტანდარტში რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული ყოფილიყო კვლევისა და მეცნიერების ხელშეწყობის მატერიალურ-ტექნიკური კომპონენტი სამომავლო დაგეგმარებაში. მე-7 სტანდარტში კი რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულიყო ზრდის სამიზნე კვოტის მაჩვენებლთან შესაბამისი, პროპორციული სასწავლო, მათ შორის, კვლევითი ლაბორატორიების ფართი. ამ რეკომენდაციის საფუძველი გახდა ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც დაწესებულებაში უშუალოდ მატერიალურ ქონებას მიემართებოდა. სასწავლო ფართის მოცულობა დაწესებულებას აქვს 2 608 m^2. მასში შედის ბიბლიოთეკა 249 m^2 და სამეცნიერო კვლევითი ლაბოლატორიები 54 m^2-დე. სტუდენტთა რაოდენობა 2 300 რაოდენობის იყო მოთხოვნილი. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ ფართის მოცულობა ამ რაოდენობის სტუდენტთა დაკმაყობილების საშუალებას არ იძლეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ეკალაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და ცენტრის თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ პირველი ავტორიზაციის დროს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა იყო მხოლოდ 600, რადგან

უფრო დიდ მოთხოვნილ რაოდენობას არ იძლეოდა ფართი და სხვა ძირითადი მაჩვენებლები. სტუდენთა მიღების რაოდენობის გაზრდის მხირვ დიდი სიფრთხილით გადაიდგა ნაბიჯები. სტუდენტთა კონტინგენტის გაანგარიშების წესთან მიმართებით აღინიშნა, რომ ბევრჯერ იყო საუბარი ექსპერტთა პანელთან ამ საკითხთან დაკავშირებით. ადმინისტარციის მიერ გაანგარიშებული კვოტა ეფუძნებოდა რამდენიმე პარამეტრს, რომელიც კარგად იყო ჩამოყალიბებული წარმოდგენილ დოკუმენტში. ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ფორმულა, რომელიც კონკრეტულ ციფრს მისცემდა დაწესებულებას, არ არსებობდა არც ქართულ და არც საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად, შიდა მუშაობის შედეგად იქნა გამოყვანილი აღნიშნული რიცხვი. გარდა ამისა, 2 300-დან მედიცინაზე მოთხოვნილია 1 800, რაც ინსტიტუციისთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მედიცინაზე სწავლების პერიოდი 2 ნაწილად იყო დაყოფილი, კერძოდ, კლინიკურ და პრეკლინიკური სწავლებად. კლინიკური სწავლების დროს სტუდენტები სწავლების ძირითად პროცესს კლინიკაში გადიან. შესაბამისად, სწავლის პროცესს კლინიკაში გაატარებს 1 800 სტუდენტიდან ნახევარი. აღნიშნულ სივრცეში 900 - 1000 სტუდენტი იქნება და ამას დამატებული დანარჩენი პროგრამები. სულ ჯამში უნივერსიტეტში იქნება 1 300 - 1 400 სტუდენტი, მოთხოვნილ რაოდენობას კი აღნიშნული ფართი აბსოლუტურად აკმაყოფილებს.
ეკა ეკალაძემ დასძინა, რომ ადმინისტრაცია ეთანხმებოდა ექსპერტებს კვლევით ნაწილში გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით, რადგან უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომდევნო წლებში იქნებოდა კვლევა, რომელიც, მათ შორის, აუცილებლად მოიაზრებდა ფართის გაზრდასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დღეს უნივერსიტეტს არ ჰყავდა მეოთხე კურსელები. მას აინტერესებდ, სავარაუდოდ რამდენი მეოთხე კურსელი ეყოლებოდა დაწესებულებას რაოდენობრივად მომავალ წელს კლინიკებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ საშუალოდ 60 მეოთხე კურსელი ეყოლებოდა დაწესებულებას რაოდენობრივად მომავალ წელს კლინიკებში.

დაწყების დრო: 12:35
დასრულების დრო: 13:00
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 200-ით განსაზღვრის საკითხი. მათ შორის - მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 100 სტუდენტით.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 2
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტსს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1 200-ით, ხოლო მედიცინის პროგრამისათვის 1 100-ით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებ, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის წარმომადგენელმა, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში ხარვეზის გასწორებას. ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი წერილის შესაბამისად, 2025 წლის 12 მარტს გამართული ავტორიზაციის საბჭოს ოქმში, რომელიც უნივერსიტეტს გაეგზავნა 2025 წლის 27 მარტს, არის ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულების მოსაზრებით, აღნიშნული სხდომის ბოლოს, გადაწყვეტილების გამოცხადების დროს, საბჭოს თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ უნივერსიტეტს მოეხსნა რეკომენდაცია 3.2 კომპონენტთან მიმართებაში ("უნივერსიტეტი დააკვირდეს და მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს, განსაკუთრებით - საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში") და დარჩა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში სტუდენტების რაოდენობის დაზუსტებას.
შესაბამისად, დაწესებულების თხოვნაა, რომ ოქმიდან ამოღებულ იქნას 3.2 კომპონენტში გაწერილი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ **კენჭისყრაზე დააყენა:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N337379 ოქმში სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შესასრულებლად განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, ყველა მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პარტნიორი დაწესებულება (სტაჟირება, კლინიკური პრაქტიკა)."

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 07 აპრილის 13:15 სთ-ზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ